განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ისტორიის
სამაგისტრო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

12.02.2020
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საქართველოს ისტორია |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | მაგისტრი - საქართველოს ისტორია<br>Master – History of Georgia (0222) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლევან ჯიქია. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ბონდო კუპატაძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიგი გიოშვილი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის პირს და მდებარეობს თბილისში (ქალაქი თბილისი, კოსტავას 77). საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლების ენა ქართულია. პროგრამის დანერგვის და შემდგომი აკრედიტაციის ძირითადი მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, პროფესიული პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტი საქართველოს ისტორიაში.

პროგრამა ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და დისციპლინის უახლეს ცოდნაზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს გარკვეული კვლევითი უნარებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა და მულტიდისციპლინურ გარემოში ადეკვატური მოქმედების უნარ-ჩვევები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 30 ოქტომბერს. ვიზიტამდე ორი დღით ადრე, 28 ოქტომბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 17:30 საათზე და 20.30 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანალიზისა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის დღეს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

30 ოქტომბერს საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან, მოქმედ მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან, სკოლის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ექსპერტთა ჯგუფმა პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტთან მიმართებაში შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო მეორე სტანდარტთან მიმართებაში - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

- **რეკომენდაციები**

- პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: „საქართველოს ისტორიის მაგისტრი (0222)“.
- რეკომენდირებულია, რომ რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს და შემცირდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობა. მაგ: საგანში „ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია“ ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა 35 ერთეულია, ხოლო დამხმარე ლიტერატურის - 80 ერთეული. ამასთან ამ ლიტერატურის დიდი უმრავლესობა არის კონკრეტულ საკითხზე სამეცნიერო მონოგრაფიები და არა სახელმძღვანელოები.
- სასწავლო კურსის HIST5241 „ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია“ სათაური მოითხოვს დაზუსტებას, კერძოდ ამ საგნის სათაური უნდა იყოს „ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ისტორია (XVIII-XXI სს)“.
- რიგ სილაბუსებში (HIST5250 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია“; HIST6110 „ქართული სამართლის ძეგლები და პოლიტიკური ინსტიტუტების ისტორია საქართველოში“; HIST5111 „შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია“; HIST5231 „ანტიკური და შუა საუკუნეების უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ“; HIST6151 „ქართველთა ცხოვრება - ისტორიული ანალიზი“; HIST5221 „ახალი ისტორიის უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ“; თითო სალექციო თემაზე სტუდენტს ეძლევა 100-150 გვ.-ის წაკითხვის მითითება კვირაში. იმის გათვალისწინებით, რომ სილაბუსის თანახმად დამოუკიდებელი მუშაობისთვის ამ საგნებში კვირაში 7 საათია განსაზღვრული. საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტისთვის ამ დროში 100/150 გვერდი სხვადასხვა წიგნებში გაფანტული სასწავლო მასალის დამუშავება და სწავლა ნაკლებად რეალურია. სასწავლო მასალის ჭარბი მოცულობის შესახებ თავად სტუდენტებიც მიუთითებენ გამოკითხვაში და სასწავლო მასალის მოცულობის შემცირებას და სასწავლო მასალის ერთ წიგნად აკინძვას ითხოვენ.
- ზოგიერთ კურსს კითხულობს სპეციალისტი, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო შრომები მოცემულ პერიოდზე. მაგ: სასწავლო კურსს - HIST5230 „საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე)“ კითხულობს მედიევისტი. ამიტომაც პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგი აღნიშნული სასწავლო კურსის წასაკითხად. სასწავლო კურსის „საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე)“ სილაბუსი მოითხოვს გადამუშავებას, კერძოდ სასწავლო თემატიკა უნდა განაწილდეს პროპორციულად კვირების მიხედვით (მოქმედი სილაბუსით 1-9 სალექციო კვირა ეძღვნება 1917-1924 წლების ისტორიას, ხოლო 10-12 სალექციო კვირა - 1924-1985 წლებს) და საფუძვლიანად განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა, რომლის ძირითადი ნაწილი მოძველებულია.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
    - გასწორდეს პრაქტიკის სილაბუსში შეცდომით მითითებული მეოთხე სემესტრი მესამის ნაცვლად;

- სასურველია პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს თემატიკა მუზეუმთმცოდნეობისა და არქივთმცოდნეობის მიმართულებით არსებულ სასწავლო კურსებში ან დამატებული იქნეს ახალი სასწავლო კურსი;
- სასურველია მისაღებ გამოცდებზე ინგლისურ ენასთან ერთად აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოცდა ჩააბარონ სხვა ევროპულ ენებში (გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული);
- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ აღნიშნულია, რომ პროგრამა დამტკიცდა 2008 წელს, ხოლო პროგრამაზე პირველი მიღება იყო 2011 წელს. 2011-2015 წლებში პროგრამის სრული კურსი დაასრულა და ისტორიის მაგისტრის ხარისხი მიიღო 4 სტუდენტმა. პროგრამამ განიცადა მოდიფიკაცია და ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2015 წლის იანვარში. 2015-2019 წლებში ყოველწლიურად ცხადდებოდა მიღება 5 ადგილზე, თუმცა მიღების დინამიკა არ იყო სასურველი (2015-0, 2016-3, 2017-2, 2018-1, 2019-3). კურსდამთავრებულთა ჯამური რაოდენობა კი 8 წლის (2011-2019 წწ.) განმავლობაში იყო მხოლოდ 7. მათგან შემდეგ საფეხურზე სწავლა გააგრძელა 1 მაგისტრმა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ჩნდება კითხვა - რატომ სწავლობდა ასე ცოტა მაგისტრანტი პროგრამაზე და ფინანსურად რამდენად უღირს უნივერსიტეტს ამგვარი პროგრამის შენარჩუნება. პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ მიუხედავად პროგრამის დოტაციურობისა, რაც თავად ინტერვიუერებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, პროგრამის შენარჩუნების და განვითარების სურვილი არსებობს. ამ ვითარებაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სთავაზობს რჩევას პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის: საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მეტნაკლებად იდენტური პროგრამები ფუნქციონირებს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში (თსუ, ილიაუნი, სტუ, სოხუმის უნივერსიტეტი...), სადაც მაგისტრანტების საკმაო რაოდენობაა. ამ სასწავლებლებში პროგრამის წლიური საფასურია 2250 ლ. მაღალი კონკურენტული გარემოს პირობებში მაგისტრანტთა რაოდენობის გასაზრდელად და პროგრამის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი გამოსავალი შესაძლოა იყოს საქართველოს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის წლიური ღირებულების 3000 ლარიდან დაბლა დაწევა;
- ვინაიდან სამაგისტრო პროგრამის ძირითადი თემატიკა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას ეხება, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ისტორიის მიმართულებით არის მხოლოდ ერთი ძირითადი და ერთი არჩევითი საგანი, სასურველია პროგრამას დაემატოს აღნიშნული პერიოდის სასწავლო კურსები, რომლებიც სამაგისტრო სწავლების საფეხურზე იქნება გათვლილი და ორიენტირებული კონკრეტულ პრობლემატიკაზე;
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის წარმართვაში თანაბრად მონაწილეობდეს აკადემიური პერსონალი. ამჟამინდელი მდგომარეობით ისტორიის სპეციალობის 6 აფილირებულ პროფესორს შორის 4 კითხულობს თითო სასწავლო კურსს, დანარჩენი ორიდან ერთი-6, ხოლო მეორე-4 სასწავლო კურსს;
- სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის ძირითადი 12 საგნიდან მხოლოდ 3 საგანში *ისტორიული კვლევის მეთოდები(კურსის სასწავლო მასალები) ჩივვაიძე, ცირა.(შემდგენელი); ქართული ეკლესიი სისტორია(სამაგისტრო კურსის სასწავლო მასალები) ქორიძე,თამარ; ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება (სამაგისტრო კურსის სასწავლო მასალა). ინწკირველი, ეთერ*) არსებობს ლექტორის მიერ მომზადებული სასწავლო კურსი/რიდერი. სასურველია, რომ სხვა სალექციო

კურსებშიც მომზადდეს სალექციო კურსი/ჰენდაუთი. ეს გარემოება არის ძირითადი მიზეზი, რომ სასწავლო კურსების უმეტესობაში სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურა დიდი რაოდენობით არის შეთავაზებული და არ არის კარგად გამიჯნული ძირითადი/დამხმარე ლიტერატურა;

- სასწავლო კურსის HIST5250 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია" სილაბუსში დასახელებულია 14 ძირითადი და 2 დამხმარე ლიტერატურა, რაც საჭიროებს გამიჯვნას. ამასთან ეს საგანი არსებული სახით უფრო შეეფერება საბაკალავრო საფეხურს, რადგან მოიცავს უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე საქართველოში არსებულ სოციალურ სისტემებს და ეკონომიკურ ვითარებებს. სასურველია აქცენტის დასმით გადამუშავდეს სილაბუსი, მომზადდეს სალექციო კურსი/ჰენდაუთი ან რიდერი შემცირებულ ფორმატში;
- ვინაიდან ისტორიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში არსებობს საგანი „შესავალი ქართული ეკლესიის ისტორიაში", სასურველია, რომ სამაგისტრო საფეხურზე არსებული სასწავლო კურსი „ქართული ეკლესიის ისტორია" გადამუშავდეს, კონკრეტული აქცენტით და გადავიდეს არჩევით ბლოკში;
- სასურველია, რომ უსდ-მ, სკოლამ და პროგრამის ხელმძღვანელობამ მეტად იზრუნოს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობების გაფართოებაზე, რაც შესაძლებელია, მცირე საუნივერსიტეტო გრანტების შეთავაზების შესაძლებლობით გამოიხატოს და აუცილებელი პირობის სახით პროექტის განსახორციელებლად მასში სტუდენტების ჩართულობას გულისხმობდეს;
- სასურველია სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად აირჩიონ, როგორც საქართველოს უნივერსიტეტის, ასევე, სხვა უნივერსიტეტის კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექნება საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომების ანოტაციები შესრულებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- გასათვალისწინებელია, რომ 2013-2019 წწ-ში პროგრამაზე შესრულებულმა ყველა სამაგისტრო ნაშრომმა უმაღლესი შეფასება (A) დაიმსახურა. მათ შორის 2019 წელს დაცული ნაშრომი შეფასდა 100 ქულით. უცნაურია, რომ მისმა ავტორმა პასუხი ვერ გასცა აკრედიტაციის ექსპერტის შეკითხვას, თუ რა ლიტერატურა გამოიყენა ნაშრომის დაწერისას. სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია ხელმძღვანელი იყოს საკითხის ვიწრო სპეციალისტი;
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეტი გამჭვირვალობისთვის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის ქულებით შეფასების შესაძლებლობა მიეცეთ რეცენზენტს ცალკე და კომისიას ცალკე, გამოირიცხოს კომისიაში მაგისტრანტის ხელმძღვანელის შეყვანა, სასურველია გაიზარდოს კომისიის წევრთა რაოდენობა, რომ მაქსიმალურად ზუსტად შეფასდეს ნაშრომი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტი სტუდენტებს ასწავლის ჰოლოკოსტის ისტორიას, რაც საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგია. კერძოდ, ისტორიის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს „ებრაულ სახლთან" და სარა ბენ შემეშის სახელობის ფონდთან (ისრაელი). ისტორიის დეპარტამენტის ინიციატივით გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს უნივერსიტეტსა და ქარმელის კოლეჯს (ისრაელი)

შორის, ასევე, ვარშავის ებრაელთა ისტორიის ინსტიტუტთან (პოლონეთი). საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალი ჩაბმული იყო კვლევით პროექტში: „ჰოლოკოსტი და გენოციდი ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებში“.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები (დაკვნის თარიღი: 21/01/2015) ამგვარად გამოიყურება:

- არსებობს გარკვეული უზუსტობა პროგრამის თვითშეფასებასა და თავად პროგრამაში მოცემულ ინფორმაციას შორის. პროგრამის თვითშეფასების მიხედვით, სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი). საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ისტორიის სამაგისტრო პროგრამით ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS ნაწილდება შემდეგნაირად: სასკოლო საგნები: 12 ECTS; პროგრამის ძირითადი საგნები 90 ECTS, მათ შორის კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის მომზადება/დაცვა - 30 ECTS; პროგრამის არჩევითი საგნები - 18 ECTS. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული პროგრამის ერთ-ერთ ვერსიაში მოცემულია კრედიტების შემდეგი სახით გადანაწილება: სკოლის ძირითადი საგნები - 12 ECTS; პროგრამის ძირითადი საგნები - 87 ECTS (მათ შორის: სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას საქართველოს ისტორიაში, რომლის მოცულობა 30 ECTS კრედიტითაა განსაზღვრული); პროგრამის არჩევითი საგნები - 21 ECTS. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან გასაუბრების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საბჭოს N22-14, 06.11.2014 ოქმისა და ჩვენს ხელთ არსებული პროგრამის გაცნობის შემდგომ აღმოჩნდა, რომ პროგრამას გავლილი ჰქონდა გარკვეული მოდიფიცირება და თვითშეფასების ანგარიშში შეტანილი კრედიტების გადანაწილებაც სრულიად იდენტურია ახალი, მოდიფიცირებული პროგრამის კრედიტებისა. გარდა ამისა, ამავე თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის სახელწოდებაა „ისტორია“, ხოლო ადგილზე შემოწმებული სამაგისტრო პროგრამაა „საქართველოს ისტორია“. როგორც ჩანს, თვითშეფასების ანგარიშში დაშვებულია ტექნიკური სახის შეცდომა. სასურველია, არ არსებობდეს მსგავსი უზუსტობები;
- სასურველი იქნებოდა საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში მითითებული ყოფილიყო ინგლისურ ენაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის დონე;
- სასურველია სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევა“ არ ითვალისწინებდეს მხოლოდ ინგლისურენოვან ლიტერატურას (იმის გათვალისწინებით, რომ არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ინგლისური ენის რა დონე მოეთხოვება მაგისტრანტს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის);
- სილაბუსებში მოწოდებულია ძირითადი ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია, ზოგიერთ შემთხვევაში 30-40 სახელმძღვანელო, სასურველია, რომ მათი ნაწილი გადავიდეს დამხმარე ლიტერატურაში, ხოლო ძირითადი ლიტერატურის ნუსხა გამდიდრდეს თანამედროვე სტატიებით, სამეცნიერო ნაშრომებითა და საინფორმაციო სახის ვებ გვერდებით.

ბოლო აკრედიტაციის შემდეგ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები, კერძოდ:

- გასწორდა ის ტექნიკური უზუსტობა, რაზედაც მიანიშნებენ ექსპერტები, მათ შორის პროგრამის დასახელება.
- პროგრამის ხელმძღვანელმა გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია მისაღებ გამოცდებზე ინგლისური ენის დონის მითითებასთან დაკავშირებით. ამჟამად საქართველოს

ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტს მოეთხოვება ინგლისური ენის B2დონეზე ცოდნა.

- წინა რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულდა ექსპერტთა მომდევნო რეკომენდაციაც, გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა თხოვნით, სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევა“ გადავიდა არჩევით ბლოკში.
- რაც შეეხება ექსპერტთა ბოლო რეკომენდაციას, ის ამ დრომდე არ არის გათვალისწინებული. მიგვაჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ყურადსაღებია და სასურველია მისი გათვალისწინება.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| 1.1პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში |
| **აღწერა და შეფასება**<br>საქართველოს უნივერსიტეტის მისია შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „ჩვენი საქმიანობაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით. ყოველივე ამას ვახორციელებთ კომპეტენციის ცენტრების და იმგვარი პლათფორმის შექმნით, სადაც უზრუნველყოფილია ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება. ჩვენი საქმიანობით, რასაც მუდმივად ინოვაციური მიდგომით ვანხორციელებთ, ისევე, როგორც ინსტიტუციური სრულყოფილებისკენ სწრაფვის საკუთარი მაგალითით წვლილი შეგვაქვს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.<br>საქართველოს უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ჰუმანიტარულ, ხელოვნების, სოციალურ და ქცევით, ინტერდისციპლინურ ან სამართლის მეცნიერებებში საერთო სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში.<br>შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შედგება ინგლისური ენის ფლობის დონის დასადგენი (წერითი) და სპეციალობაში - საქართველოს ისტორია (ზეპირი) - გამოცდისაგან. გამოცდების სავარაუდო თემატიკა განთავსებულია ვებგვერდზე. აპლიკანტი გათავისუფლდება ინგლისურ ენაში გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს ან დიპლომს/დანართს/ცნობას საბაკალავრო პროგრამის დასრულების შესახებ, რომლებიც დაადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას B2-ის დონეზე.<br>პროგრამის მიზნებში აღნიშნულია შემდეგი: „პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, პროფესიული პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტი საქართველოს ისტორიაში. პროგრამა, ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და დისციპლინის უახლეს ცოდნაზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს გარკვეული კვლევითი უნარებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა და მულტიდისციპლინურ გარემოში ადეკვატური მოქმედების უნარ-ჩვევები“. გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის სტუდენტების მომზადებას |

| |
|---|
| სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის. სწავლების მესამე სემესტრში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, რაც მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას იძლევა. პრაქტიკის სილაბუსში პროფესიული პრაქტიკა მითითებულია მეოთხე სემესტრში, პროგრამაში კი - მესამე სემესტრში. სილაბუსის ავტორთან საუბრისას დაზუსტდა ეს საკითხი და გაირკვა, რომ კორექტურასთან გვაქვს საქმე და პრაქტიკა გათვალისწინებულია მესამე სემესტრში.<br>პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს ჩამოთვლისას აღნიშნულია შემდეგი: კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს მომსახურებასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სფეროში: სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, ბიბლიოთეკები, საჯარო სამსახური, ადგილობრივი, რეგიონული ადმინისტრაციები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, არქივები, მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტურიზმისა და მასმედიის სფერო, გამომცემლობები და სხვა. გამომდინარე იქიდან, რომ დიდია დაინტერესება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან და სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმიდან (ამ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გვქონდა შეხვედრა) კვალიფიციურ კადრებზე, სასურველია პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს თემატიკა მუზეუმთმცოდნეობისა და არქივთმცოდნეობის მიმართულებით არსებულ სასწავლო კურსებში ან დამატებული იქნეს ახალი სასწავლო კურსი.<br>შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა;<br>○ საქართველოს უნივერსიტეტის მისია. |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ გასწორდეს პრაქტიკის სილაბუსში შეცდომით მითითებული მეოთხე სემესტრი მესამის ნაცვლად<br>○ სასურველია პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს თემატიკა მუზეუმთმცოდნეობისა და არქივთმცოდნეობის მიმართულებით არსებულ სასწავლო კურსებში ან დამატებული იქნეს ახალი სასწავლო კურსი. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>√☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.2 პროგრამისსწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად |
| **აღწერა და შეფასება**<br>სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და გათვლილია 4 სემესტრზე, რომელთაგან პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 66 ECTS კრედიტი, 30 ECTS კრედიტი კი - სამაგისტრო ნაშრომს ისტორიაში. არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობა 21 ECTS კრედიტი. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები გადანაწილებულია პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში, მეოთხე სემესტრი კი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ეთმობა.<br>პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. მისასალმებელია არჩევით ბლოკში ძველი ბერძნული ენის, ლათინური ენის, სპარსული ენის, თურქული ენის, არაბული ენის, ძველი სომხური ენის, სამეცნიერო ინგლისურის კურსების დამატება. აღნიშნული ენების დაუფლება სტუდენტს საშუალებას მისცემს, ლექსიკონის გამოყენებით, დაამუშავონ საქართველოს შესახებ არსებული უცხოენოვანი წყაროები და ლიტერატურა. სტუდენტებისთვის სწავლების მესამე სემესტრში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა. უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან და სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში პროფესიული პრაქტიკის დამატების სურვილს კურსდამთავრებულები და სტუდენტები გამოთქვამდნენ.<br>ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლებს. გაირკვა, რომ ორივე დაწესებულება ამ დრომდე წარმოადგენს უნივერსიტეტისათვის პოტენციურ დამსაქმებელს. უნივერსიტეტის არცერთი კურსდამთავრებული ჯერ-ჯერობით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არ დასაქმებულა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი კარგად იცნობს საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას, რასაც ვერ ვიტყვით ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელზე. ორივე მათგანი ისურვებდა საქართველოს |

| |
|---|
| ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების თავის დაწესებულებაში.<br>სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული სწავლების მეთოდები და კრედიტები უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.<br>საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს თეორიულთან ერთად ექნება პრაქტიკული ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები შრომის ბაზარზე და შეძლოს პროფესიით დასაქმება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა;<br>○ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;<br>○ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;<br>○ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>○ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;<br>○ სწავლის შედეგების რუკა;<br>○ სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომები;<br>○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;<br>○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (ფორმა), |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს  პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამაზე მიღება განისაზღვრება უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით, რომელიც ითვალისწინებს საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების შედეგებს.<br>• საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ჰუმანიტარულ, ხელოვნების, |

სოციალურ და ქცევით, ინტერდისციპლინურ ან სამართლის მეცნიერებებში საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე.

- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში.
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა შედგება ინგლისური ენის ფლობის დონის დასადგენი (წერითი) და სპეციალობაში - საქართველოს ისტორია (ზეპირი) - გამოცდისაგან. გამოცდების სავარაუდო თემატიკა განთავსებულია ვებგვერდზე. აპლიკანტი გათავისუფლდება ინგლისურ ენაში გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს ან დიპლომს/დანართს/ცნობას საბაკალავრო პროგრამის დასრულების შესახებ, რომლებიც დაადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას B2-ის დონეზე.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, დიდი ალბათობა არსებობს, რომ ამის მიზეზი იყოს მისაღებ გამოცდაზე მხოლოდ ინგლისური ენის დაწესება. სასურველია მისაღებ გამოცდებზე ინგლისურ ენასთან ერთად აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოცდა ჩააბარონ სხვა ევროპულ ენებში (გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული). ამ ნაბიჯმა შესაძლოა გაზარდოს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ აღნიშნულია, რომ პროგრამა დამტკიცდა 2008 წლიდან, ხოლო პირველი მიღება განხორციელდა 2011 წელს. 2011-2015 წლებში პროგრამის სრული კურსი დაასრულა და ისტორიის მაგისტრის ხარისხი მიიღო 4 სტუდენტმა. პროგრამამ განიცადა მოდიფიკაცია და ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2015 წლის იანვარში. 2015-2019 წლებში ყოველწლიურად ცხადდებოდა მიღება 5 ადგილზე, თუმცა მიღების დინამიკა არ იყო სასურველი (2015-0, 2016-3, 2017-2, 2018-1, 2019-3). კურსდამთავრებულთა ჯამური რაოდენობა კი 8 წლის (2011-2019 წწ.) განმავლობაში იყო მხოლოდ 7. მათგან შემდეგ საფეხურზე სწავლა გააგრძელა 1 მაგისტრმა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ჩნდება კითხვა-რატომ იყო ასე ცოტა მაგისტრანტი და ფინანსურად რამდენად უღირს უნივერსიტეტს ამგვარი პროგრამის შენარჩუნება. პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ მიუხედავად პროგრამის დოტაციურობისა, რაც თავად ინტერვიუერებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, პროგრამის შენარჩუნების და და განვითარების სურვილი არსებობს. ამ ვითარებაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სთავაზობს რჩევას პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის: საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მეტნაკლებად იდენტური პროგრამები ფუნქციონირებს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში (თსუ, ილიაუნი, სტუ, სოხუმის უნივერსიტეტი...), სადაც მაგისტრანტების საკმაო რაოდენობაა. ამ სასწავლებლებში პროგრამის წლიური საფასურია 2250 ლარი. მაღალი კონკურენტული გარემოს პირობებში მაგისტრანტთა რაოდენობის გასაზრდელად და პროგრამის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი გამოსავალი შესაძლოა იყოს საქართველოს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის წლიური ღირებულების 3000 ლარიდან დაბლა დაწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.

რეკომენდაციები:

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>• სასურველია მისაღებ გამოცდებზე ინგლისურ ენასთან ერთად აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოცდა ჩააბარონ სხვა ევროპულ ენებში (გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული).<br>• საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ აღნიშნულია, რომ პროგრამა დამტკიცდა 2008 წლიდან, ხოლო პირველი მიღება იყო 2011 წელს. 2011-2015 წლებში პროგრამის სრული კურსი დაასრულა და ისტორიის მაგისტრის ხარისხი მიიღო 4 სტუდენტმა. პროგრამამ განიცადა მოდიფიკაცია და ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2015 წლის იანვარში. 2015-2019 წლებში ყოველწლიურად ცხადდებოდა მიღება 5 ადგილზე, თუმცა მიღების დინამიკა არ იყო სასურველი (2015-0, 2016-3, 2017-2, 2018-1, 2019-3). კურსდამთავრებულთა ჯამური რაოდენობა კი 8 წლის (2011-2019 წწ.) განმავლობაში იყო მხოლოდ 7. მათგან შემდეგ საფეხურზე სწავლა გააგრძელა 1 მაგისტრმა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ჩნდება კითხვა-რატომ იყო ასე ცოტა მაგისტრანტი და ფინანსურად რამდენად უღირს უნივერსიტეტს ამგვარი პროგრამის შენარჩუნება. პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ადმონისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ მიუხედავად პროგრამის დოტაციურობისა, რაც თავად ინტერვიუერებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, პროგრამის შენარჩუნების და განვითარების სურვილი არსებობს. ამ ვითარებაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სთავაზობს რჩევას პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის: საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მეტნაკლებად იდენტური პროგრამები ფუნქციონირებს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში (თსუ, ილიაუნი, სტუ, სოხუმის უნივერსიტეტი...), სადაც მაგისტრანტების საკმაო რაოდენობაა. ამ სასწავლებლებში პროგრამის წლიური საფასურია 2250 ლ. მაღალი კონკურენტული გარემოს პირობებში მაგისტრანტთა რაოდენობის გასაზრდელად და პროგრამის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი გამოსავალი შესაძლოა იყოს საქართველოს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის წლიური ღირებულების 3000 ლარიდან დაბლა დაწევა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>• საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტი სტუდენტებს ასწავლის ჰოლოკოსტის ისტორიას, რაც საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგია. კერძოდ, ისტორიის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს „ებრაულ სახლთან“ და სარა ზენ შემეშის სახელობის ფონდთან (ისრაელი). ისტორიის დეპარტამენტის ინიციატივით გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს უნივერსიტეტსა და ქარმელის კოლეჯს (ისრაელი) შორის, ასევე, ვარშავის ებრაელთა ისტორიის ინსტიტუტთან (პოლონეთი). საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალი ჩაბმული იყო კვლევით პროექტში: „ჰოლოკოსტი და გენოციდი ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებში“. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√ ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, რომელიც გაწერილია ახალი მოთხოვნების საფუძველზე და შესაბამისად, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტ დახვეწას საჭიროებს, კერძოდ:

- ვინაიდან სამაგისტრო პროგრამის ძირითადი თემატიკა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას ეხება, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ისტორიის მიმართულებით არის მხოლოდ ერთი ძირითადი და ერთი არჩევითი საგანი, სასურველია პროგრამას დაემატოს აღნიშნული პერიოდის სასწავლო კურსები, რომლებიც სამაგისტრო სწავლების საფეხურზე იქნება გათვლილი და ორიენტირებული კონკრეტულ პრობლემატიკაზე.
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის წარმართვაში თანაბრად მონაწილეობდეს აკადემიური პერსონალი. ამჟამინდელი მდგომარეობით ისტორიის სპეციალობის 6 აფილირებულ პროფესორს შორის 4 კითხულობს თითო სასწავლო კურსს, დანარჩენი ორიდან ერთი-6, ხოლო მეორე-4 სასწავლო კურსს.
- ზოგიერთ კურსს კითხულობს სპეციალისტი, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო შრომები მოცემულ პერიოდზე. მაგ: სასწავლო კურსს - HIST5230 საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე) კითხულობს მედიევისტი. ეს გარემოება იგრძნობა საგნის სილაბუსიდანაც, სადაც ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა მოძველებულია და განახლებას საჭიროებს.
- გასათვალისწინებელია, რომ 2013-2019 წწ-ში პროგრამაზე შესრულებულმა ყველა სამაგისტრო ნაშრომმა უმაღლესი შეფასება (A) დაიმსახურა. მათ შორის 2019 წელს დაცული ნაშრომი შეფასდა 100 ქულით. უცნაურია, რომ მისმა ავტორმა პასუხი ვერ გასცა აკრედიტაციის ექსპერტის შეკითხვას,თუ რა ლიტერატურა გამოიყენა ნაშრომის შესრულებისას.სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია ხელმძღვანელი იყოს საკითხის ვიწრო სპეციალისტი. სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეტი გამჭვირვალობისთვის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის ქულებით შეფასების

შესაძლებლობა მიეცეთ რეცენზენტს ცალკე და კომისიას ცალკე, გამოირიცხოს კომისიაში მაგისტრანტის ხელმძღვანელის შეყვანა, სასურველია გაიზარდოს კომისიის წევრთა რაოდენობა, რომ მაქსიმალურად ზუსტად შეფასდეს ნაშრომი.ასევე სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომს ახლდეს ანოტაცია ინგლისურ ენაზე.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს: პროგრამის ძირითად საგნებს - 99 ECTS (მათ შორის: საქართველოს ისტორიაში სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 30 ECTS) და პროგრამის არჩევით საგნებს: 21 ECTS).

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: „საქართველოს ისტორიის მაგისტრი (0222)“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.

**რეკომენდაციები:**

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: „საქართველოს ისტორიის მაგისტრი (0222)“.

ზოგიერთ კურსს კითხულობს სპეციალისტი, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო შრომები მოცემულ პერიოდზე. მაგ: სასწავლო კურსს - HIST5230 საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე) კითხულობს მედიევისტი. ეს გარემოება იგრძნობა საგნის სილაბუსიდანაც, სადაც ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა მოძველებულია და განახლებას საჭიროებს. კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი მოიწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგს აღნიშნული სასწავლო კურსის წასაკითხად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ვინაიდან სამაგისტრო პროგრამის ძირითადი თემატიკა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას ეხება, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ისტორიის მიმართულებით არის მხოლოდ ერთი ძირითადი და ერთი არჩევითი საგანი, სასურველია პროგრამას დაემატოს აღნიშნული პერიოდის სასწავლო კურსები, რომლებიც სამაგისტრო სწავლების საფეხურზე იქნება გათვლილი და ორიენტირებული კონკრეტულ პრობლემატიკაზე.
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის წარმართვაში თანაბრად მონაწილეობდეს აკადემიური პერსონალი. ამჟამინდელი მდგომარეობით ისტორიის სპეციალობის 6 აფილირებულ პროფესორს შორის 4 კითხულობს თითო სასწავლო კურსს, დანარჩენი ორიდან ერთი-6, ხოლო მეორე-4 სასწავლო კურსს.
- გასათვალისწინებელია, რომ 2013-2019 წწ-ში პროგრამაზე შესრულებულმა ყველა სამაგისტრო ნაშრომმა უმაღლესი შეფასება (A) დაიმსახურა. მათ შორის 2019 წელს დაცული ნაშრომი შეფასდა 100 ქულით. უცნაურია, რომ მისმა ავტორმა პასუხი ვერ გასცა აკრედიტაციის ექსპერტის შეკითხვას,თუ რა ლიტერატურა გამოიყენა

| |
|---|
| ნაშრომის დაწერისას.სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია ხელმძღვანელი იყოს საკითხის ვიწრო სპეციალისტი. სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეტი გამჭვირვალობისთვის შეფასების კრიტერიუმების დახვეწა. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის ქულებით შეფასების შესაძლებლობა მიეცეთ რევენზენტს ცალკე და კომისიას ცალკე, გამოირიცხოს კომისიაში მაგისტრანტის ხელმძღვანელის შეყვანა, სასურველია გაიზარდოს კომისიის წევრთა რაოდენობა, რომ მაქსიმალურად ზუსტად შეფასდეს ნაშრომი. ასევე სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომს ახლდეს ანოტაცია ინგლისურ ენაზე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**√☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.3. სასწავლო კურსი |
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უმეტესწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ამ მხრივ რიგ კურსებთან მიმართებაში, არსებობს შენიშვნები, რომელიც დეტალურადაა განმარტებული ქვევით, კერძოდ:<br>• რეკომენდირებულია, რომ რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს და შემცირდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობა. მაგ: საგანში „ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია" ძირითადი ლიტერატურა (35 ერთეული) არის დამხმარე ლიტერატურის რაოდენობით. ხოლო დამხმარე ლიტერატურა ასევე ძალიან დიდი ოდენობით (80 ერთეული). ამასთან ამ ლიტერატურის დიდი უმრავლესობა არის კონკრეტულ საკითხზე სამეცნიერო მონოგრაფიები და არა სახელმძღვანელოები. |

- წარმოდგენილ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული 2015 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რომელიც შეეხება სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის რაოდენობის შემცირებას.
- სასწავლო კურსის HIST5241 ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია სათაური მოითხოვს დაზუსტებას, კერძოდ ამ საგნის სათაური, თემატიკიდან გამომდინარე, უნდა იყოს „ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ისტორია (XVIII-XXI სს)“.
- რიგ სილაბუსებში (HIST5250 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია; HIST6110 ქართული სამართლის ძეგლები და პოლიტიკური ინსტიტუტების ისტორია საქართველოში; HIST5111 შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია; HIST5231 ანტიკური და შუა საუკუნეების უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ; HIST6151 ქართველთა ცხოვრება - ისტორიული ანალიზი; HIST5221 ახალი ისტორიის უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ) თითო სალექციო თემაზე სტუდენტს ეძლევა 100-150 გვ.-ის წაკითხვის მითითება კვირაში. იმის გათვალისწინებით, რომ სილაბუსის თანახმად დამოუკიდებელი მუშაობისთვის ამ საგნებში კვირაში 7 საათია განსაზღვრული. საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტისთვის ამ დროში 100/150 გვერდი სხვადასხვა წიგნებში გაფანტული სასწავლო მასალის დამუშავება და სწავლა ნაკლებად რეალურია. სასწავლო მასალის ჭარბი მოცულობის შესახებ თავად სტუდენტებიც მიუთითებენ გამოკითხვაში და სასწავლო მასალის მოცულობის შემცირებას და სასწავლო მასალის ერთ წიგნად აკინძვას ითხოვენ.
- სასწავლო კურსის „საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე)“ სილაბუსი მოითხოვს გადამუშავებას, კერძოდ სასწავლო თემატიკა უნდა განაწილდეს პროპორციულად კვირეების მიხედვით (მოქმედი სილაბუსით 1-9 სალექციო კვირა ეძღვნება 1917-1924 წლების ისტორიას, ხოლო 10-12 სალექციო კვირა 1924-1985 წლებს) და საფუძვლიანად განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა, რომლის ძირითადი ნაწილი მოძველებულია.
- სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, რიგ კურსებთან მიმართებაში არის კითხვები.
- სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის ძირითადი 12 საგნიდან მხოლოდ 3 საგანში *(ისტორიული კვლევის მეთოდები* **(***კურსის სასწავლო მასალები***)** *ჩიკვაიძე,ცირა.(შემდგენელი); ქართული ეკლესიის ისტორია (სამაგისტრო კურსის სასწავლო მასალები) ქორიძე, თამარ; ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება (სამაგისტრო კურსის სასწავლო მასალა). ინწკირველი, ეთერ)* არსებობს ლექტორის მიერ მომზადებული სასწავლო კურსი/რიდერი. სასურველია, რომ სხვა სალექციო კურსებშიც მომზადდეს სალექციო კურსი/ჰენდაუთი. ეს გარემოება არის ძირითადი მიზეზი, რომ სასწავლო კურსების უმეტესობაში სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურა დიდი რაოდენობით არის შეთავაზებული და არ არის კარგად გამიჯნული ძირითადი/დამხმარე ლიტერატურა.
- სასწავლო კურსის „HIST5250 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია“ სილაბუსში დასახელებულია 14 ძირითადი და 2 დამხმარე ლიტერატურა, რაც საჭიროებს მართებულად გამიჯვნას. ამასთან ეს საგანი არსებული სახით უფრო შეეფერება საბაკალავრო საფეხურს, რადგან მოიცავს უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე საქართველოში არსებულ სოციალურ სისტემებს და ეკონომიკურ ვითარებებს. სასურველია აქცენტის დასმით გადამუშავდეს სილაბუსი, მომზადდეს სალექციო კურსი/ჰენდაუთი ან რიდერი შემცირებულ ფორმატში.

| |
|---|
| • ვინაიდან ისტორიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში არსებობს საგანი „შესავალი ქართული ეკლესიის ისტორიაში“, სასურველია რომ სამაგისტრო საფეხურზე არსებული სასწავლო კურსი „ქართული ეკლესიის ისტორია“ გადამუშავდეს, კონკრეტული აქცენტით და გადავიდეს არჩევით ბლოკში.<br>ზემოთ მოცემული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამაში მოცემული სავალდებულო სასწავლო კურსის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან, სტუდენტთან, კურსდამთავრებულთან და დამსაქმებელთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>▪ რეკომენდირებულია, რომ რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს და შემცირდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობა. მაგ: საგანში „ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია“ ძირითადი ლიტერატურა (35 ერთეული) არის დამხმარე ლიტერატურის რაოდენობით. ხოლო დამხმარე ლიტერატურა ასევე ძალიან დიდი ოდენობით (80 ერთეული). ამასთან ამ ლიტერატურის დიდი უმრავლესობა არის კონკრეტულ საკითხზე სამეცნიერო მონოგრაფიები და არა სახელმძღვანელოები.<br>▪ სასწავლო კურსის HIST5241 სათაური არის შეცდომით, რაშიც ინტერვიუს დროს დაგვეთანხმა სილაბუსის ავტორი და მექანიკურ შეცდომად მიიჩნია. კერძოდ, სასწავლო კურსის თემების აღწერილობიდან გამომდინარე ეს საგანი არის არა „ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია“, ანუ XV-XXI სს-ის შესახებ ქართული საისტორიო აზრი, არამედ „ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ისტორია (XVIII-XXI სს)“ ანუ საქართველოს ისტორიის მთელი პერიოდის (ძველი, შუა, ახალი და უახლესი საუკუნეები) შესახებ არსებული საისტორიო აზროვნება XVIII-XXI სს-ში მოღვაწე ისტორიკოსთა.<br>▪ რიგ სილაბუსებში (HIST5250 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია; HIST6110 ქართული სამართლის ძეგლები და პოლიტიკური ინსტიტუტების ისტორია საქართველოში; HIST5111 შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია; HIST5231 ანტიკური და შუა საუკუნეების უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ; HIST6151 ქართველთა ცხოვრება - ისტორიული ანალიზი; HIST5221 ახალი ისტორიის უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ;) თითო სალექციო თემაზე სტუდენტს ეძლევა 100-150 გვ.-ის წაკითხვის მითითება კვირაში. იმის გათვალისწინებით, რომ სილაბუსის თანახმად დამოუკიდებელი მუშაობისთვის ამ საგნებში კვირაში 7 საათია განსაზღვრული. საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტისთვის ამ დროში 100/150 გვერდი სხვადასხვა წიგნებში გაფანტული სასწავლო მასალის დამუშავება და სწავლა ნაკლებად რეალურია. სასწავლო მასალის ჭარბი მოცულობის შესახებ თავად სტუდენტებიც მიუთითებენ გამოკითხვაში და სასწავლო მასალის მოცულობის შემცირებას და სასწავლო მასალის ერთ წიგნად აკინძვას ითხოვენ. |

- სასწავლო კურსის „საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე)“ სილაბუსი მოითხოვს გადამუშავებას, კერძოდ სასწავლო თემატიკა უნდა განაწილდეს პროპორციულად კვირეების მიხედვით (მოქმედი სილაბუსით 1-9 სალექციო კვირა ეძღვნება 1917-1924 წლების ისტორიას, ხოლო 10-12 სალექციო კვირა 1924-1985 წლებს) და საფუძვლიანად განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა, რომლის ძირითადი ნაწილი მოძველებულია.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის ძირითადი 12 საგნიდან მხოლოდ 3 საგანში *(ისტორიული კვლევის მეთოდები (კურსის სასწავლო მასალები). ჩიკვაიძე,ცირა. (შემდგენელი); ქართული ეკლესიის ისტორია (სამაგისტრო კურსის სასწავლო მასალები) ქორიძე,თამარ; ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება (სამაგისტრო კურსის სასწავლო მასალა). ინწკირველი, ეთერ)* არსებობს ლექტორის მიერ მომზადებული სასწავლო კურსი/რიდერი. სასურველია, რომ სხვა სალექციო კურსებშიც მომზადდეს სალექციო კურსი/ჰენდაუთი. ეს გარემოება არის ძირითადი მიზეზი, რომ სასწავლო კურსების უმეტესობაში სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურა დიდი რაოდენობით არის შეთავაზებული და არ არის კარგად გამიჯნული ძირითადი/დამხმარე ლიტერატურა.
- სასწავლო კურსის „HIST5250 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია“ სილაბუსში დასახელებულია 14 ძირითადი და 2 დამხმარე ლიტერატურა, რაც საჭიროებს მართებულად გამიჯვნას. ამასთან ეს საგანი არსებული სახით უფრო შეეფერება საბაკალავრო საფეხურს, რადგან მოიცავს უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე საქართველოში არსებულ სოციალურ სისტემებს და ეკონომიკურ ვითარებებს. სასურველია აქცენტის დასმით გადამუშავდეს სილაბუსი, მომზადდეს სალექციო კურსი/ჰენდაუთი ან რიდერი შემცირებულ ფორმატში.
- ვინაიდან ისტორიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში არსებობს საგანი „შესავალი ქართული ეკლესიის ისტორიაში“, სასურველია რომ სამაგისტრო საფეხურზე არსებული სასწავლო კურსი „ქართული ეკლესიის ისტორია“ გადამუშავდეს, კონკრეტული აქცენტით და გადავიდეს არჩევით ბლოკში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√☐**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამაში წარმდგენილი კურსებისა და აქტივობებს აქვს პოტენციალი, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. თუმცა, 2.3-ში აღწერილი რეკომენდაციების შესაბამისად, აუცილებელია შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, გაცილებით აქტიური მუშაობა.
- პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას ისტორიაში, რაც გულისხმობს სტუდენტთა პროფესიულ პრაქტიკას პოტენციურ დამსაქმებლებთან: მუზეუმებში, სხვადასხვა სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში (მაგ. თსუ/ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო), საერთაშორიოსო, საზოგადოებრივ თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. მთელ რიგ ასეთ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საქართველოს უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმები და ხელშეკრულებები კონკრეტულ აქტივობაზე.
- მნიშვნელოვანია, რომ გარდა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის წახალისებისა, სტუდენტებს უნივერსიტეტში არ ეძლევათ კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან: სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

სასურველია,რომ უსდ-მ, სკოლამ და პროგრამის ხელმძღვანელობამ მეტად იზრუნოს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობების გაფართოებაზე, რაც შესაძლებელია, მცირე საუნივერსიტეტო გრანტების შეთავაზების შესაძლებლობით გამოიხატოს და აუცილებელი პირობის სახით პროექტის განსახორციელებლად მასში სტუდენტების ჩართულობას გულისხმობდეს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

|  |
|---|
| √☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

|  |
|---|
| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებზე ხორციელდება სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება. კერძოდ, მეთოდები სტანდარტულია და შეესაბამება სწავლების საფეხურს.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება ლექცია, ვიდეო-აუდიო სასწავლო მასალის გამოყენება, წერითი მუშაობის მეთოდი, პრეზენტაციების წარდგენა, ინტერაქტიული ლექციები, დისკუსიები, დებატები, კრიტიკული ანალიზი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდიდა სხვ.<br>სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან: სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აღნიშნულ უსდ-ში განხორციელებულმა ვიზიტმა შესაძლებელი გახადა თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის უშუალოდ ადგილზე შემოწმება, ასევე მისი პრაქტიკული შესაძლებლობების ადგილზე გაცნობა და შეფასება. ამ კუთხით ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა უშუალოდ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებთან პირადი გასაუბრება. მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა შეფასება, უნივერსიტეტის ბაზაზე ხდება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და თანხვედრაშია კანონმდებლობასთან. სასწავლო პროგრამის კურსების შეფასების სისტემა გამომდინარეობს უშუალოდ საგნისა და დისციპლინის სპეციფიკიდან. როგორც გასაუბრების დროს ერთხმად აღინიშნა, სტუდენტის ინფორმირებულობა დროულად ხდება, გამოცდის ფორმის, დროის, საკითხებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთნ: სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| შეფასება |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>√☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა | | √ | | |

## 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მაქსიმალურად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, შესაძლო დასაქმებაზე |

| |
|---|
| სათანადო კონსულტაციებს. ისინი გრძნობენ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან.<br>სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, ელექტრონული მიმოწერის საშუალებებს და უნივერსიტეტის ვებგვერდს. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი საჭირო ინფორმაციას იღებს უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან.სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათთვის ლექტორთან კომუნიკაცია როგორც ტელეფონით, ასევე, პირდაპირი კომუნიკაციით, საკმაოდ მარტივია.<br>პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში. გარდა ამისა, მაგისტრანტებს აქვთ პრაქტიკის კურსები, რომლებსაც ახორციელებენ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.<br>სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილ სასწავლო კურსებს, მის საჭიროებას და ლექტორებს.ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესშიითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. მაგალითად, სტუდენტების რეკომენდაციებით, ახალ პროგრამაში არჩევით კურსში გადავიდა საგნები: პროექტის მენეჯმენტი და აკადემიური წერა და კვლევა. ასევე მათი რეკომენდაციით სასწავლო კურსის ძირითად საგნად დაემატა პრაქტიკა, ხოლო არჩევით საგნად - ქართველი ხალხის ბრძოლა რუსული ცარიზმის წინააღმდეგ XIX ს.- XX ს. დასაწყისი. სტუდენტების სურვილის გათვალისწინებით პროგრამიდან ამოღებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის საფუძვლები.<br>უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;<br>○ კითხვარი და ანალიზი;<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი;<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან;<br>○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**√☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტი წერს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს, თუ მას შესრულებული აქვს 78 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოუმუშაოს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა. ღრმად და სისტემურად დაეუფლოს საკვლევი დარგის თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ და კვლევით უნარებს.საქართველოს უნივერსიტეტში, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციაში. სტუდენტს შეუძლია, საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელი აარჩიოსმხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან. ამის გათვალისწინებით სტუდენტმა თავისი სამაგისტრო თემატიკიდან გამომდინარე შეიძლება ვერ შეძლოს ხელმძღვანელად საკითხის ვიწრო სპეციალისტის აყვანა. ამიტომ, სასურველი იქნება, თუ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად აიყვანონ, როგორც საქართველოს უნივერსიტეტის, ასევე, სხვა უნივერსიტეტის კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. შესაძლებელია მაგისტრანტებს ჰყავდეთ ერთი ან მეტი ხელმძღვანელი, ერთი საქართველოს უნივერსიტეტიდან, ხოლო მეორე სხვა უსდ-დან. თანახელმძღვანელის არსებობა სტუდენტს შესაძლებლობას მისცეს თავისი ინტერესებიდან

გამომდინარე კომუნიკაცია ჰქონდეს დარგის ვიწრო სპეციალისტთანაც, რაც თავის მხრივ, მაგისტრანტს დაეხმარება საკითხის ღრმად და ფუნდამენტურად შესწავლაში.

დამტკიცებულ თემაზე სტუდენტი მუშაობს ხელმძღვანელთან მჭიდრო კონსულტაციების რეჟიმში. მაგისტრანტსა და ხელმძღვანელს შორის იმართება ყოველკვირეული შეხვედრები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ფიქსირებულ დროს. სავალდებულო შეხვედრების რაოდენობაა 10. ხელმძღვანელი სტუდენტს ეხმარება კვლევის გეგმის შედგენაში, ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში და კვლევის პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო კომპონენტში.

მაგისტრანტების ხელმძღვანელები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტით, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკაციების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გადაეხედათ სამაგისტრო ნაშრომებისთვის. მოცემული ნაშრომები სტანდარტების დაცვითაა შესრულებული და აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ამავდროულად, ნაშრომების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ მოცემული სამაგისტრო ნაშრომებიდან ანოტაცია ინგლისურად არცერთ მათგანს არ ჰქონდა. სასურველია, ყველა სამაგისტრო ნაშრომს თან ახლდეს, როგორც ქართული ასევე ინგლისურენოვანი ანოტაცია.

ნაშრომების თემატიკა საინტერესოა. სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს მიერ. აღნიშნული საბჭო იქმნება სკოლის საბჭოს მიერ და შედგება საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის, ექსპერტის და საბჭოს თავმჯდომარისაგან. აღნიშნულ შეფასების სისტემაში მაგისტრანტს ქულით აფასებს ხელმძღვანელი, ხოლო შეფასების დროს არ ფიგურირებს რეცენზენტი, რომელიც დაწერს დამოუკიდებელ ქულას. სწორედ ამიტომ, სასურველი იქნება,გამოირიცხოს კომისიაში მაგისტრანტის ხელმძღვანელის შეყვანა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროს კი ქულების დაწერის უფლება მიეცესრეცენზენტს ცალკე და კომისიას ცალკე, სასურველია გაიზარდოს კომისიის წევრთა რაოდენობაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი;
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- აკადემიური პერსონალის კვლევის მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

| რეკომენდაციები: |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად აირჩიონ, როგორც საქართველოს უნივერსიტეტის, ასევე, სხვა უნივერსიტეტის კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექნება საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.<br>○ სასურველია სამაგისტრო ნაშრომების ანოტაციები შესრულებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.<br>○ სასურველია გამოირიცხოს კომისიაში მაგისტრანტის ხელმძღვანელის შეყვანა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროს ქულების დაწერის უფლება მიეცეს რეცენზენტს ცალკე და კომისიას ცალკე, სასურველია გაიზარდოს კომისიის წევრთა რაოდენობა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივი | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დუალურიმუშა ობა | | | | |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1. ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
- პროგრამაში ცართული აკადემიური პერსონალი სწავლის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური პერსონალის მონაცემები) შესწავლისას და პერსონალთან შეხვედრამ დაადასტურა აკადემიური პერსონალის კომპეტენცია სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის ბიოგრაფიები და წარმოდგენილი შრომები, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები ადასტურებს მათ კვალიფიკაციას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევის სფეროებია: საქართველოს ისტორია სხვადასხვა ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ჩარჩოში.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებმა ცხადყო აკადემიური პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელის განსაკუთრებული ავტორიტეტი და აქედან გამომდინარე სტუდენტების მოტივაცია ისწავლონ ამ პროგრამაზე. პროგრამის ხელმძღვანელია პროფესორი მანანა სანაძე, რომელიც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია, ის ჩართულია პროგრამის განხორციელებაში.

| |
|---|
| პროგრამაში ჩართულია 16 განმახორციელებელი, რომელთაგან აფილირებულ აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს 10, ხოლო 6 მოწვეულია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში ჩართული პერსონალი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში.<br>„საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში, რომელსაც ჰყავს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრამ და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას და მისი რესურსები ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სახით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარებიან სკოლასა და პროგრამის უშუალო განმახორციელებლებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ შესაბამისი სამუშაოს აღწერები;<br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;<br>○ სასწავლოდასამეცნიეროპერსონალისდებულება. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>√☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 4.2. **აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**<br>➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას<br>➢ აკადემიური პერსონალი ჩართულია საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ტრენინგებში.<br>➢ აკადემიური პერსონალი სწავლის დროს იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ინტერაქტიულ დაფებს, კომპიუტერულ კლასს და ა. შ. |
| **აღწერა და შეფასება**<br>უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რასაც იყენებს პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის. პერიოდულად ხდება სტუდენტების ანონიმური გამოკითხვა, რაც გამოყენებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებას.საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით 2014-2019 წლებშიგანხორციელდა სხვადასხვა აქტივობა: პერსონალმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო დაადგილობრივ პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციაში, გაუზიარაკოლეგებს ახალი სამეცნიერო მიღწევები, გაეცნო საკუთარი კვლევის სფეროს სიახლეებს დაეს სიახლეები და გამოცდილება აქტიურად გამოიყენა სასწავლო კურსებისგანახლება/დახვეწის, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და სტუდენტებისთვის სფეროსაქტუალურ და ახალ მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის გადაცემის მიზნით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით ჩატარდა ტრენინგებისწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწასა და თანამედროვე მეთოდების აქტიურადგამოყენებაზე სასწავლო პროცესში.<br>აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში შეიქმნა *„უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი“*, რომელიც კოორდინაციას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, ლექტორებისა და დოქტორანტების უწყვეტ პროფესიულ განათლებას, მათ შორის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებში.აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას სკოლასთან ერთად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს და სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კოორდინაციას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და სასწავლო პროცესთან მის ინტეგრაციას; უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვასა და |

მართვას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონტრაქტის სპეციალური პუნქტი ავალდებულებს პერსონალს სასწავლო საქმიანობასთან ერთად იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე და ყოველწლიურად მოამზადოს სულ ცოტა ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია; აკადემიური პერსონალი სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, კომპიუტერულ კლასს და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები;
- ჩატარებული კონფერენციების კრებულები;
- სამეცნიერო- კვლევითი ინტიტუტის დებულების დანართი პრემიების გაცემის წესის შესახებ;
- სტუდენტთა მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების ანალიზი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხა;
- ჩატარებული ტრენინგებისა და ვორქშოფების ნუსხა;
- „უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრის“ დებულება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი<br>✓ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.<br>✓ გვაქვს ინტერაქტიული დაფები |
| **აღწერა და შეფასება**<br>პროგრამის თვითშეფასების ანალიზზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციის, სკოლის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუზრებამ საფუძველი მოგვცა დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სასწავლო აუდიტორიები, ტექნიკური აღჭურვილობა, კომუნიკაციები და ინტერიერი, ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აუდიტორიები აღჭურვილია ე.წ. პროექტორით.სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ რესურსებთან. ბიბლიოთეკას აქვს როგორც წიგნადი, ისე ციფრული ფონდები. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ბეჭდური ან ელვერსიის სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებითა და უნივერსიტეტში არსებული ისეთი ელექტრონული რესურსებით, როგორიცაა Jstor. უნივერსიტეტს აქვს ენის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიითა და პროგრამებით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება ენობრივი კომპეტენციის სრულყოფისა და დამატებითი აქტივობებისთვის.უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სარა ბენ შემეშის სახელობის ისრაელის კვლევის ცენტრი, რომლის მიზანია სტუდენტთა კვლევითი აქტივობისა და პრაქტიკული მუშაობის (პროექტები, სტაჟირება და ა.შ.) შემდგომი განვითარება და სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია.<br>უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალურად სტუდენტებისათვის გამოყოფილი სივრცე, სადაც სტუდენტებს შეუძლიათდაისვენონ, იმეცადინონ და ა.შ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ სარა ბენ შემეშის სახელობის ისრაელის კვლევის ცენტრი;<br>○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;<br>○ შენობის გეგმა;<br>○ კომპიუტერული და ენების სასწავლო ლაბორატორიების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებული და სხვა ხელშეკრულებები;<br>○ შესაბამისი სამსახურების სამუშაოს აღწერილობები; |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

**აღწერა და შეფასება**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტს, რომელიც 2018-2019 სასწავლო წელს ასეთი იყო: პირველ კურსზე ირიცხებოდა ერთი სტუდენტი, რომლის ლექციებით უზრუნველსაყოფად გამოყოფილი იყო 10763 ლარი, მაშინ, როდესაც ამ სუდენტის გადახდილი სწავლის საფასური შეადგენდა 3000 ლარს. დისბალანსმა შეადგინა 7763 ლარს. მეორე კურსზე ირიცხებოდა 5 სტუდენტი, რომელთა მიერ გადახდილმა სწავლის საფასურმა შეადგენა 15 000 ლარი, მეორე კურსელთა სწავლის ხარჯებმა შეადგინა 5264 ლარი. ჯამში პროგრამის შემოსავალმა შეადგინა 18 000 ლარი, ხარჯებმა კი - 16026 ლარი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტში წარმოდგენილ ხარჯებში არ ჩანს კომუნალური და სხვა ტიპის ხარჯების მაჩვენებელი.
დოკუმენტაციაში ვერ მოხვდა მონაცემები 2019-2020 სასწავლო წლისათვის (აკრედიტაციაზე დოკუმენტები უფრო ადრე გაიგზავნა, ვიდრე პროგრამაზე სტუდენტთა მიღება მოხდებოდა). 2019 წელს პროგრამაზე ჩაირიცხა სამი მაგისტრანტი. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდაზე, რათა პროგრამა ფინანსურად იყოს მდგრადი და არ საჭიროებდეს მუდმივად დოტაციას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საქართველოს ისტორიის სამაგისტროპროგრამის ფინანსური გეგმა;

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდაზე |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |

## 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

## 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას და ამ მიზნით იყენებს ხარისხის მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ პროგრამასთან დაკავშირებით კითხვარების შევსება. კითხვარის ფორმატი, სტუდენტის მიერ კურსის აუცილებლობის, მნიშვნელობის, სასწავლო მასალისა და მეთოდების შესაბამისობის დასადგენად გამიზნული კითხვების გარდა, მოიცავს სტუდენტის თვითშეფასებას სწავლის შედეგებთან მიმართებაში. როგორც ლექტორების, ისე სტუდენტების მხრიდან ინფორმაციის გადამოწმებამ დაადასტურა, შეფასებების უმეტესწილად პოზიტიურია და რაიმე ტიპის ხელშესახები ცვლილებები ხარისხის მართვის ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით ნაკლებად ფიქსირდება.
- თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პროგრამის თვითშეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები, როგორც აკადემიური,ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები:სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, ხარისხისუზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და ბიბლიოთეკა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა;
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

### 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, პროგრამის სრულყოფის მიზნით, ასევე განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება. კერძოდ, გარე შეფასებისთვის პროგრამის კურიკულუმი, მოდულების აღწერა და მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის სწავლის საერთო შედეგებზე გასვლის მეთოდები და აქტივობები გადაეგზავნა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირს და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელს. გაანალიზდა და განხილული იქნა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელებთან ერთად.
- უნივერსიტეტმა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით განახორციელა რეაკრედიტაციისთვის დოკუმენტაციის მომზადება და უშუალოდ პროგრამის წარდგენა. უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმში წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი ასახულია პროგრამის განახლებულ რედაქციაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ არის გათვალისწინებული წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით (იხ. ასევე ჩვენი რეკომენდაცია 2.3.)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმი;
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.
- სტუდენტთა ანკეტირების მასალები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

**შეფასება**

√☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები და შეფასების ფორმები აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს და ახდენს მის განხორციელებაში ჩართული მხარეების გამოკითხვას, შემდეგ აანალიზებს შედეგებს და აქტიურად იყენებს მას პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- თვიშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს სალექციო პროცესზე სისტემატიურ დაკვირვებას.
- უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკაა სასწავლო პროცესზე ურთიერთდასწრება, განსაკუთრებით ახალი თანამშრომლის შემთხვევაში და მისი შეფასება. აღნიშნული ღონისძიება პროგრამის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.
- ხარისხის სამსახურის მიერ ხარისხის მართვის პროცესში გამოყენებული კითხვარები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**√☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისხარისხ ისგანვითარებისშ ესაძლებლობები | √ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ლევან ჯიქია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბონდო კუპატაძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გიგი გიოშვილი 